პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 41 (12857) | სამშაბათი, 18 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიის მიზანდასახულობას შევასრულებთ!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს

მდიდარი ჰექტარები

ჩვენი სოფლის მშრომელები გულდასმით იცნობენ და აწვრთნიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებს. დიდი გამოცოცხლებაა კოლმეურნეობის მინდვრებსა და პლანტაციებში. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, ერთი წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი შრომა. კოლმეურნეები აქედანვე საფუძველს უყრიან მომდინარე წლის უხვ მოსავალს.

ხუცუბნის კოლმეურნეობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, ნიადაგის გადაბარვა, სასუქების შეტანა, საფრენაჯო არხების გაწმენდა, სალანტაციო გზის შეკეთება და სხვა სამუშაოები. წელს ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები სამშობლოს მისცემენ 1.350 ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, რაც 70 ტონით მეტი იქნება გასულ წელთან შედარებით. შევადგინეთ სპეციალური კარტოგრამა. ახლა კოლმეურნეებმა უკეთ იციან, თუ რომელ ნაკვეთში რა სასუქი და რა რაოდენობით უნდა იქნეს შეტანილი. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს, რომ ნაკლები დანახარჯებით მივიღოთ მეტი ჩაის ფოთოლი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, სიმინდი, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვა.

ჯერ კიდევ პლენუმის მუშაობის პერიოდში ჩვენი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე სოფლის მხლეელ-მთესველებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებები. წელს სამშობლოს მივიცემთ 220 ტონა ციტრუსებს, რაც 40 ტონით აღემატება გასულ წელში მიღებულ რაოდენობას. სამუალოდ თვითეულ ძრობაზე მივიღებთ 2300 კილოგრამ რძეს, ანუ 700 კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან.

ვ. თხილაიშვილი.
ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

ნათელი გზა

ჩვენი მეურნეობის მინდვრები უკვე 12-13 წელია ირწყვის ვანათის ხარწყვი არხით, რომლის სათავე მდინარე პატარა ლიახვია. ამ ხნის განმავლობაში სოფლის მინდვრები ბაღნარად იქცა. უკანასკნელ წლებში გაშენდა 240 ჰექტარი ბაღი, 60 ჰექტარი ვენახი. სარწყავმა მიწებმა უხვად მოგვცა ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი.

ერედვის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები დიდი აღმავლობით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებს. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიხერალური სასუქების შემოტანას. უკვე შემოზიდულია 150 ტონა მინერალური სასუქი. მინდვრად, ბაღ-ვენახებში გავიტანეთ 800 ტონა ნაკელი. გაზაფხულისათვის მზად არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ამ დღეებში დაიწყო მრწყველთა მომზადება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წელსვე საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 22 ცენტნერი ხორბალი, 35 ცენტნერი სიმინდი, 20 ცენტნერი ლობიო და 20 ცენტნერი ბარდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გავზრდით ბოსტნეულისა და ბაღჩეულის, ბაღეებისა და ვენახების მოსავლიანობას.

ე. ხატიაშვილი.
ზნაურის საწარმოო სამმართველოს ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მთავარი მიმართულება

ბუშინ გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვაში დასმულია ახალი აქტუალური ამოცანები, რომლებსაც ახლა პირველ პლანზე აყენებს კომუნისტური პარტია. საქმე ეხება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე. ეს ნიშნავს, რომ ავამაღლოთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მოვიყვანოთ მეტი ბარცვალი და სხვა პროდუქცია თვითეულ ჰექტარ სახნავზე, გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება ამ ჰექტარ მიწაზე განგარიშებით.

ეს დიდი და არცთუ იოლი ამოცანაა. რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენს სახელმწიფოს არა ჰქონდა საკმარისი მატერიალური შესაძლებლობანი ფართო ქიმიზაციისა და ირიგაციის განვითარებისათვის, ეს ამოცანა ჩვენთვის მეტად ძნელი იყო. ახლა სხვა საქმეა. იმ დიდ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც უკანასკნელ წლებში განახორციელა პარტიამ, ძირეულად შეიცვალა სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიური ბაზა, გადიდდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობა, გადიდდა მათ მიერ ელექტროენერგიის მოხმარება. საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია გამოჰყოს დიდი კაპიტალური დაბანდებანი მინერალური სასუქების წარმოებისათვის, საირიგაციო მშენებლობისა და სოფლის სხვა საჭიროებებისათვის. სოციალისტური ინდუსტრია, რომელმაც ახალ საფეხურს მიაღწია, ყოველდღიურად აწვდის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფრო მეტ სრულყოფილ მანქანებს.

წარმართავს რა საბჭოთა ხალხს მეცადინეობის სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, პარტია თანმიმდევრულად და მთელი სიღრმით წყვეტს ეკონომიკის საკითხებს. ორი თვის წინათ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეიმუშავა მასშტაბითა და მნიშვნელობით უმაგალითო გეგმა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა, განსაზღვრა ძირითადი მიმართულებანი სოფლის მეურნეობის დარგში. ერთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აშუშავდება მინერალური სასუქების საწარმოო იმდენივე სიმძლავრე, რამდენიც ამუშავდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ 40 წელიწადში. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაცია რევოლუციაა სოფლის მეურნეობაში.

ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა განიხილა, თუ როგორია პარტიის ამოცანები ინტენსიფიკაციის პრობლემებისაკენ ძირეული შემობრუნების პერიოდში, განიხილა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და ირიგაციის აქტუალური საკითხები, დიდი საუბარი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა როლი ენიჭება მეცნიერებას ძალაპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნაში, როგორ უნდა დაინერგოს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს.

„კპსკ-ს ჩაითვალოს, რომ პარტიისა და ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის განვითარება, მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლისა და სხვა კულტურების საერთო მოსავალი, გაადიდონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფართო პროგრამის განხორციელების გზით“.

პლენუმის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში ახალი მიჯნების განსაზღვრისადმი კონკრეტული მიდგომის, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის შესაძლებლობათა გათვალისწინების შესანიშნავი მაგალითი, მომწიფებულ ამოცანათა შემოქმედებითი გადაჭრის ნიმუშია.

ცენტრალური კომიტეტის ჯერ კიდევ დეკემბრის პლენუმის წინ საგეგმო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებთან და მოწინავეებთან ერთად, კონკრეტული პირობების შესაბამისად, შეიმუშავეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში ძირითადი მიმართულებანი უახლოესი წლებისათვის, ამასთან გაითვალისწინეს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დონის მნიშვნელოვანი ზრდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისათვის მზადების მსვლელობაში რესპუბლიკებმა დაიზუსტეს თავიანთი შესაძლებლობანი საერთო და სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მილიონობით სოფლის მშრომელმა, რამაც იმის საშუალება მოგვცა, რომ გამოგვეძებნა ახალი რეზერვები, უფრო ზუსტად განგვეზღვრა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიჯნები. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაწვრილებით მოახსენეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, თუ როგორი იქნება მათი რესპუბლიკების წვლილი ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დასახული დონის მიღწევაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ფართო ინტენსიფიკაციის საფუძველზე, რათა 1970 წელს მარცვლის საერთო მოსავალი 14-16 მილიარდ ფუთამდე, ხორცის წარმოება — 20-25 მილიონ ტონამდე, რძისა — 115-135 მილიონ ტონამდე.

PRAVDA
17 თებერვლის მოწინავე

პლენუმის დოკუმენტებში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში ყოველმხრივ გაშუქებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, ნაჩვენებია ახალი ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზები. პლენუმმა ცხადყო პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება, ცხადყო ერთსულოვანი მხარდაჭერა ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებისადმი, რომელთა მიზანია პარტიის პროგრამის განხორციელება.

გეგმები დასახულია, ამოცანები გარკვეულია. ახლა მთავარია კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობა, ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება.

„მას შემდეგ, რაც მივიღებთ გადაწყვეტილებას, გამოვცდილებთ ჩვენს ნებას, ჩვენს შეკავშირებასა და ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის ერთსულოვან გაგებას, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ორგანიზატორული უნარი, ყველა კოლმეურნის, მექანიზატორის, საბჭოთა მეურნეობების მუშის, ხელმძღვანელის, მეცნიერისა და სპეციალისტების — ყველასი, ვინც ხალხის საკეთილდღეოდ შრომობს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, ეცადინეოთა უნდა მოვახმაროთ კონკრეტულ საქმეებს. ჩვენი პარტიის ძალა სწორედ ის არის, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია“.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლა შორეული მომავლის ამოცანა როდია, არამედ სადღეისო ამოცანაა. მთავარია არ დავკარგოთ დრო, კარგად მოვემზადოთ გაზაფხულისათვის, რათა მტკიცე საფუძვლები ჩავუყაროთ მომავალ მოსავალს. მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა წარმატებით შეასრულონ მინერალური სასუქების წარმოების დასახული პროგრამა, გაიუმჯობესონ მათი ხარისხი. სოფლის მშრომელები მოწოდებული არიან უნარიანად, მეტი ეფექტიანობით გამოიყენონ თვითეული ცენტნერი მინერალური სასუქი. ამისათვის კი საჭიროა ფართოდ მოვაწყოთ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა სწავლა, შევაიარაღოთ ისინი აგროქიმიის ცოდნით, უფრო სწრაფად შევაქმნათ აგროქიმიური სამსახური.

ამასთან ერთად საჭიროა კიდევ ერთხელ ყოველმხრივ მოვიფიქროთ და კონკრეტულად განვსაზღვროთ, თუ რა გზით მიიღწევს თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ხორბლის, სიმინდის, ჩაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, განამტკიცებს საკვებ ბაზას. საჭიროა განსაკუთრებული უურადღება მივაქციოთ იმას, რომ ფართოდ გამოიყენოთ ორგანული სასუქები, ვთესოთ ჭიშიანი თესლი, მინდვრის ყველა სამუშაო შევასრულოთ საუკეთესო ვადებში.

დიდი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, რომელიც მოწოდებულია გაიერთიანოს თავისი მეცადინეობა, რათა შეიმუშაოს და დაასაბუთოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის უფრო ეფექტიანი გზები და საშუალებანი. საჭიროა უფრო სწრაფად დავნერგოთ წარმოებაში ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც იბადება მინდვრებსა და ფერმებში, მეცნიერთა ლაბორატორიებსა და საცდელ სადგურებში. მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს ბოსტნეულის თესვა-მოყვანის პიდროპონიკის წესის ფართოდ გამოყენებას, მეფრინველეობის მსხვილი ფაბრიკების შექმნას, საუთხნე კულტურების მოვლა-მოყვანის ახალ ეფექტიან ტექნოლოგიას. საჭიროა მივმართოთ ახლის პროპაგანდისა და დანერგვის უფრო ქმედითს, აქტიურ, შეტევითს ფორმას, რათა ყოველივე მოწინავე ნამდვილად ინერგებოდეს წარმოებაში.

ინტენსიფიკაციის კურსი განსაკუთრებით მოითხოვს, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა აამაღლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის დონე. მათი ღონისძიებანი უნდა მომზადდეს წარმოების კონკრეტული საკითხების გადაჭრას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული ღონისძიებანი, რომ დახმარება გაეწიოთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს მათი ეკონომიკის აღმავლობაში, აგრეთვე შემოიღონ კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის სისტემა. შრომის შედეგებით, საზოგადოებრივი წარმოებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, ეს გაადიდებს მათს წვლილს მაღალანგარიშიანი აყვავებული სოფლის მეურნეობის შექმნის საერთო-სახალხო საქმეში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა, გადაწყვეტილებანი, რომლებიც მან მიიღო, მიზნად ისახავენ პარტიის პროგრამის. შესრულებას, მთელი ჩვენი ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, კვების პროდუქტებზე ხალხის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სოფლის მშრომელები, რომლებიც ეცნობიან პლენუმის მასალებს, მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მათ და ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მზად არიან წარმატებით განახორციელონ დასახული გეგმები, ახალი სასახელო საქმეებით უპასუხონ პარტიის ზრუნვას.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მასების მზარდი აქტივობა მოახმარონ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. მთავარია, რომ უკვე 1964 წელს სეროზული წარმატებანი მოვიპოვოთ მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებაში, ვიშრომოთ ისე, რომ საბჭოთა ხალხმა უფრო სწრაფად იგრძნოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კეთილნაყოფიერი შედეგები.

ჩვენი საბრძოლო პროგრამა

სასახელოდ შეგასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ეი რაზე მუშაობენ ახლა საკოლმეურნეო მინდვრებში, ზერეებში. მეცხოველეობის ფერმებში. ავტატარრები კოლმეურნეებს დაეხმარებიან ბრძოლებით განეამარტავენ პლენუმის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმამშინაარსიან სიტყვას, რომელშიც მოკიმეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა სწრაფი აღმავლობის კონკრეტული გზები. კოლტურის სახლში, ბიბლიოთეკაში მოეწყო თებერვლის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში პლენუმზე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სოსტაფ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება. ეს საესებით სწორია. ავიღოთ თუნდაც ჩვენი კოლმეურნეობა. თითქმის ყველა ბრიგადას მიწა ერთნაირი აქვს. მოსავალი კი სხვადასხვანაირი მოჰყავს. ბრიგადას, რომელსაც ზურაბ კერვალიძე ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად სიმინდის დიდი მოსავალი მოჰყავს. მიუხედავად უამინდობისა, შარშან ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი სიმინდის მარცვალი მოიყვანა. ყველა ბრიგადას ასე რომ ემეშვანა, კოლმეურნეობის საწყობი მარცვლს ვერ დაიტევდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არც პარტიბიუროს და არც კოლმეურნეობის გამგეობას ახარადაც არ მოსვლია ზ. კირკვალიძის ბრიგადის გამოცდილების გავრცელება. ამ ნაკლის გამოსასწორებლად უკვე დავსახეთ პრაქტიკული ღონისძიება.

პარტიული ორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი ახლა ამაზე ფიქრობს, თუ რა გვაკეთოს პრაქტიკულად, რომ წარმატებით განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

შ. მამუკელაშვილი.
თელავის საწარმოო სამმართველოს კულდღელაურის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

სიუხვის უტყუარი კომპასი

გარდაბანი. (ტპეც. კორ.). პარტიანათლად და გასაგებად აყენებს საკითხს: სოფლის მეურნეობის შემდგომი ქიმიზაცია, სასუქების გონივრულად გამოყენება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის უტყუარი კომპასია, — განაცხადა საუბარში გარდაბნის რაიონის კრწანისის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა კ. გელენიძემ.

კრწანისის საბჭოთა მეურნეობა წინათ ჩამორჩენილი იყო. შიდასამეურნეო სპეციალიზაციის განხორციელების შედეგად უკვე დაიწყო აღმავლობა. ახლა მეურნეობა (დირექტორი ი. მესხიშვილი) გარდაბნის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. მეურნეობის მთელი კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ყოველ ჰექტარზე აწარმოონ მეტი პროდუქცია, შეიმცირონ თვითღირებულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებისა და ამ პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაცნობის შემდეგ მეურნეობის მთელმა კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა კიდევ უფრო გონივრულად გამოიყენოს არსებული რეზერვები, სამშობლოს მისცეს 2.600 ტონა ბოსტნეული ნაცვლად შარშანდელი 2.300 ტონისა, ერთიორად გაზარდოს მარცვლეულის პროდუქტიულობა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

— თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს მეურნეობის მუშები დიდი მონდომებით სწავლობენ, — განაცხადა პარტბიუროს მდივანმა პ. კერვალიშვილმა. — ამ ისტორიული მასალებით აღფრთოვანებულმა ტრაქტორისტმა ო. ქანთარიამ გუშინ ბოსტნეული კულტურების ფართობზე მანქანით სასუქის შეტანის დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა. მარტო გუშინ მანქანით დაითესა 10 ჰექტარი სუფრის ჭარხალი, 2 ჰექტარი ხახვი. მექანიზატორმა გ. ლისენკომ გუშინ სათესი მანქანით ჭარხლით თესვის გეგმას 2 ჰექტარით გადაჭარბა.

კრწანისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ შვიდწლედის მეექვსე წელს იმუშაოს რენტაბელურად და სახელმწიფოს მისცეს 24 ათასი მანეთი მოგება.

* * *

სურათზე: გარდაბნის რაიონის კრწანისის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი პ. კერვალიშვილი მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს აცნობს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 17 თებერვალი (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით.

კიევის ვოგზალში, რომელიც მორთული იყო ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ძვირფას სტუმრებთან შესახვედრად მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტთა თავმჯდომარეები, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელების წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ჩამწკრივებული იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული. შესრულდა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ტოდორ ჟივკოვმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

მეგობრული შეხვედრები

△ ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ტოდორ ჟივკოვსა და ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს. △ ბულგარელი სტუმრები ეწვივნენ ლ. ი. ბრეჟნევს. △ სადილი კრემლში.

17 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი (დელეგაციის მეთაური), ბულგარეთის სამინაწამოქმედო სახალხო კავშირის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიტკო გრიგოროვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სტანკო ტოდოროვი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სტოიან კარაჯოვი.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ნ. ოვანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგე ს. ტ. ასტავინი.

ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ტოდორ ჟივკოვს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა წევრებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც უაღრესად გულითად და ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

17 თებერვალს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ტ. ჟივკოვს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

17 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ გამართეს სადილი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები.

სადილზე, რომელმაც გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ტოდორ ჟივკოვმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ს. იტონი

17 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი საზოგადო მოღვაწე და საქმიანი წრეების წარმომადგენელი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი საირუს იტონი და მისი მეუღლე და ესაუბრა მათ. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა გამართა საუზმე საირუს იტონისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, მეუღლითურთ, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ვ. თ. გარბუზოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

სახელოვანი წლისთავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ულოცავენ ბულგარეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იანოშ კადარსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ოტტაკან დობის გაუგზავნეს წერილი, რომელშიც გულითადად ულოცავენ მოძმე უნგრელ ხალხს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 16 წლისთავს.

ხელშეკრულების დადება, აღნიშნავენ ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის ისტორიაში, რადგან მტკიცე ხაფუძველი ჩაუყარა ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებასა და გაღრმავებას.

გისურავეთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და მთელ უნგრელ ხალხს, ნათქვამია წერილში, ახალ დიდ მიღწევებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

თავიანთ წერილში ამხანაგებისადმი ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევისადმი ამხანაგები იანოშ კადარი და ოტტაკან დობი აღნიშნავენ, რომ ფასდაუდებელი როლი თანამშრომლობის და მრავალმხრივი დახმარების, რაც მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების სულიკვეთებით ხორციელდება, გამოვლინდა იმით, რომ უნგრელმა ხალხმა ისტორიულად მოკლე ვადაში საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმს და ახლა შრომობს სოციალისტური საზოგადოების სრული აშენების ინტერესებისათვის. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გათუმის ბოტანიკური ბაღის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, ტროპიკული და სუბტროპიკული ფლორის შესწავლასა და გავრცელებაში ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში

ინტენსიფიკაცია წარმოების დედაბოძია

ირიგაცია—სიუხვე

მოგვითხრობენ კლენუმის მონაწილეები

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაა რწმენა, მოწინავეთა გამოცდილება, კომპლექსური მექანიზაცია და სხვ. ეი ის რეზერვები, რომლებითაც შეგვიძლია გავაღიდოთ და კიდევ უნდა გავაღიდოთ მოსავლიანობა ყოველ მეტარზე. აი რაზე იყო მსჯელობა მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე.

ცუდი ბუნებრივი პირობების მიუხედავად ყვარლის საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად, რასაც ხათავენ ედგნენ პირველად პარტიული ორგანიზაციები, შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა სოფლის მეურნეობის ძირითად სახეებში.

საწარმოო სამმართველოში კოლმეურნეობებმა დიდი გადაჯარბებით შეასრულეს ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. გასულ წელს ვაწარმოეთ და სახელმწიფოს მივყიდეთ 7. 841 ტონა ეთერზეთოვანი კულტურები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.594 ტონისა.

ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებისა და დამზადების ვალდებულებები დიდი გადაჯარბებით შეასრულეს ლაგოდეხის კალინინის, ცოდნისკარის მერეფინსკის, აფენნის „საქართველოს", ბიკაანის მარქსის, ახალსოფლის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიაყიდა 988 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ტონისა, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 800 ტონამდე და სხვ.

გასულ წელს კარგად იშრომეს რაჟონის მებაღეშუმეებმა. ამბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 107,9 ტონის ტოლ. სახელმწიფოს ჩაბარდა 2.883 ცენტნერი ამბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.670 ცენტნერისა.

ამბრეშუმის პარკის მოყვანაში განსაკუთრებით ისახელეს თავი აფენნის კოლმეურნეობა „საქართველომ", შრომის „ლენინის ანდერძმა", ვარდისუბნის გორკის, ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის, კუჭანების „განათლებამ", ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

თუმცა მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმა სამმართველოში არ შესრულებულა, რაც ძირითადად განპირობებული იყო წყალდიდობითა და ნიადაგზრეგმით, მაგრამ 1963 წელს მაინც შესაძლებელი გახდა სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 628 ათასი ფუთი მარცვლეული, ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე წინა წელს.

მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებები დიდი გადაჯარბებით შეასრულეს შილდის კუიბიშევის, ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობებმა, კუჭანების კოლმეურნეობა „განათლებამ", ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის და ბეგრმა სხვა კოლმეურნეობამ.

ბრძოლა ბუნებასთან ამ კოლმეურნეობაში აღიზარდა ბევრი შესანიშნავი. ორმოცდაათ ჰექტარზე ბალახი ითესებოდა ბალიანი ფეიზანტებისა და ბალიანი ფაზანებისთვის. ეს ბალახი ზამთარში ფეიზანტებს ეძლევა საკვებად. ეს ბალახი ეხმარება ფეიზანტებს ზამთარში ბუნებრივ საკვებ ბალახებზე ადგილ-ადგილ ამოსვლა

საბჭოთა დიადი გეგმეები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

კვიპროსი არ დათმოგს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას

დიდი სიუხვის შექმნის ფართო გზაზე

△ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ყურადღების ცენტრშია. △ გეგმები შესრულდება. △ ხალხის კეთილდღეობისათვის.

ᲨᲕᲘᲓᲘ დღეა საზღვარგარეთის პრესის ფურცლები სავსეა ცნობებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მუშაობის შესახებ. სულ უფრო მეტი იბეჭდება განმარტებები, ხაზგასმები, რომელებსაც პლენუმის მონაწილენი სახალხო სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის.

როგორც წესი, პირველ დღეებში გამოქვეყნებულთან შედარებით, უფრო დაწვრილებითს მიმოხილვებში ხაზგასმით არის აღნიშნული გთავალისწინებულ ღონისძიებათა მეცნიერული დასაბუთება და სრული რეალობა. ამ მხრივ საგულისხმოა საფრანგეთის ლენთა გაზეთის „ტრიბუნ“ რედაქტორის ჟოზეფ ლუსლაკის გამონათქვამი. მან თქვა, რომ „იმ კრებებში, როცა ხაბჭოთა ხელისუფლება მოამზადა ნლეებისათვის უზარმაზარ ხასხრებს გამოიყოფს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, როცა არის ათობით მილიონი ტონა ქიმიური სასუქები, მილიონობით ტრაქტორი — 1970-1980 წლებისათვის დასახული გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება“. ასეთივე აზრისა ცნობილი ამერიკელი ფერმერი როსუელ პარსტიც, რომლის მეურნეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვი და რომელიც არაერთხელ ყოფილა საბჭოთა ქვეყანაში. თავის სტატიაში, რომელიც „პრავდაში“, „იზვესტიასა“ და „სელსკაია ჟიზნში“ გამოქვეყნდა, როსუელ პარსტი წერს, რომ „დიდი კაპიტალების გამოყოფა ქიმიური ქარხნებისათვის ბრძნული ნაბიჯია“. იგი დარწმუნებულია, რომ „დანახარჯები სურსათის წარმოების ზრდით ანაზღაურდება“.

ცალკეული გაზეთები თავიანთ მკითხველებს განუმარტავენ მიზეზებს, რომლებიც საბჭოთა სოფლის მეურნეობას ხელს უშლიან კიდევ უფრო უკეთეს შედეგებს მიაღწიოს, ვიდრე ახლა აქვს. ნორვეგიის გაზეთ „ფორგენპოსტენში“ გამოქვეყნებულია ნან ოტო იუპანსენის სტატია. მისი ავტორი ასკვნის, რომ „საბჭოთა სოფლის მეურნეობას დღემდე უხდება სტალინის პერიოდის შეცდომების გამოსწორება“. მას სწორად მიაჩნია საბჭოთა ხახელმწიფოს გადაწყვეტილება უამრავი მიწების დამუშავების შესახებ. ამას „უდიდესი ეფექტი მოჰყვა“. „გასული წლის მძიმე კლიმატური პირობები“ რომ არა, განაგრძობს იგი, ახალ მიწები აგრეთვე კარგი მოსავლით აანაზღაურებდნენ შრომას.

უდიდეს გაზეთებს ყურადღებიდან არ გამოპარვიათ ის ფაქტი, რომ პლენუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების გარდა ბევრი მოწვეული ხტუმარი ესწრება. ფინეთის გაზეთი „ხვუფსტადსბლადეტი“ პლენუმს „სპეციალისტთა პარლამენტს“ უწოდებს და წერს: „სკკპ მარტო ის როდია, რომ ცენტრალური კომიტეტი სტალინის პერიოდისაგან განსხვავებით ახლა ბევრად ხშირად იკრიბება და უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა — ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი — არ იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ისე, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ შრეთათბიროს, არამედ ისიც, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მუშაობის ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოდა. ცენტრალური კომიტეტი, როგორც ასეთი, უკვე ძალიან მრავალრიცხოვანი ინსტიტუტია. მისი წევრები და წევრობის კანდიდატები ერთად 300-ზე მეტი კაცია. მაგრამ მათ გარდა ახლა ყოველ ამხელ პლენუმზე სულ უფრო მეტ პირს იწვევენ, უმთავრესად იმ საკითხების სპეციალისტებს, რომლებიც შესაბამის სხდომაზე უნდა განიხილონ“.

მსოფლიოს ყველა გაზეთი აქცევენებს ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სიტყვის ნაწყვეტებს ან გრცელ შინაარსს, რომელიც მან 14 თებერვალს წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მოყვანილია მოხსენების ძირითადი დებულება: წარმოების ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებაა. კერძოდ, პრესა კვლავ და კვლავ განმარტავს იმ ფაქტს, რომ 1970 წელს ქიმიური სასუქების წარმოება 80 მილიონ ტონას მიაღწევს, რომ ყოველ წელს ხელოვნური სასუქების წარმოების იმდენი სიმძლავრე ამუშავდება, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების მთელი პირველი ორმოცი წლის მანძილზე ამუშავდა. გაზეთები წერენ, რომ საბჭოთა ხახელმწიფო 1970 წელს საბჭოთა კავშირის მეურნეობებისაგან შეისყიდის დაახლოებით 5,5 მილიარდ ფუთ მარცვალს, 18 მილიონ ტონა პირუტყვსა და ფრინველს, 60 მილიონ ტონა რძესა და სხვ.

უნგრეთის გაზეთი „ეშტი ხირლაპი“ აანალიზებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში მოყვანილ ეკონომიურ მონაცემებს და თავის განმარტებებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ პოლიტიკას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად“. ბულგარული რადიოკომენტატორები აღნიშნავენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის უდიდეს მნიშვნელობას და აცხადებენ:

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდების გრანდიოზული პრორამა შესრულდება“, ასეთსავე აზრს გამოთქვამენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების გაზეთების კომენტატორები. ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ საირუს

დიდი გალილეი



დაბადების 400 წლისთავის გამო

მთხსენი წლის წინათ, 1564 წლის 15 თებერვალს ქ. პიზაში (იტალია) დაიბადა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, თანამედროვე ზუსტი ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებელი გალილეი. პროგრესული კაცობრიობა დიდი პატივისცემით აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებს იმ ადამიანს, რომელმაც თავისი შესანიშნავი მოღვაწეობით და მეცნიერული გამოკვლევებით სასიკეთოდ ლამაზარი ჩასცა ძველ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას და საფუძველი ჩაუყარა ახალ ბუნებისმეტყველებას.

უკვე სტუდენტობის დროიდან გამოვლინდა გალილეის არაჩვეულებრივი ნიჭი და ფილოსოფიური და მათემატიკური საკითხებისადმი მიდრეკილება. იგი ადრე გაეცნო არისტოტელეს, არქიმედის და სხვა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა შრომებს და უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე დაიწყო დამოუკიდებელი გამოკვლევები მექანიკისა და მათემატიკის სხვადასხვა დარგებში. იმავე პიზის უნივერსიტეტში დაიწყო მან ლექციების კითხვა და თუმცა ამ დროიდან მისი არავითარი ნაწერები არ არის დარჩენილი. კარგად არის ცნობილი, რომ თავის ლექციებში იგი აშკარად გამოვიდა არისტოტელეს მოძღვრების წინააღმდეგ ვარდნილი სხეულების მოძრაობის შესახებ. თავის თეორიულ შეხედულებებს იგი ამოწმებს ცდების საშუალებით, რაც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა იგი ექსპერიმენტს ბუნების მოვლენების შესწავლის საქმეში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა პადუის უნივერსიტეტში. იგი კითხულობდა ლექციებს და განაგრძობდა მოძრაობის მოვლენების ექსპერიმენტულ და მათემატიკურ გამოკვლევას. მისი ძირითადი შრომებიც დაწერილია იტალიურ ენაზე. ყოველივე ეს არღვევდა იმდროინდელი სქოლასტიკური მეცნიერების კარჩაკეტილობას და შეაჩოჩნდა მეცნიერება ტუქნიკურ ინტელიგენციაში, სელოსნებში და უბრალო ხალხში.

მეცნიერების დემოკრატიზაციის ეს ტენდენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მხარეა გალილეის შემოქმედებისა. როგორც თავისი მეცნიერული გამოკვლევებით, ისე ზემოაღნიშნული ტენდენციით გალილეი მძაფრ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლობასთან. მას მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა უწოდებოდა სქოლასტიკოს მეცნიერებთან, არისტოტელეს შეხედულებებთან და საეკლესიო მოძღვრებასთან. და ამიტომაც არის, რომ მისი ყველა ძირითადი შრომა პოლემიკური ხასიათისაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გალილეის გამოკვლევები მექანიკასა და ასტრონომიაში. ყველაზე მეტად გალილეის სახელი გაუთქია და ამასთან მიჩი წინააღმდეგობაც და ოვენაც გამოიწვია მისმა ასტრონომიულმა გამოკვლევებმა და კოპერნიკის ჰელიოცენტრული მოძღვრების დაცვამ, მაგრამ მაინც უნდა ოქვას, რომ მისი გამოკვლევები მექანიკაში და განსაკუთრებით დინამიკაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნის ბოლოს უკვე დაიბადა ეჭვი არისტოტელის დინამიკური მოძღვრების სისწორეში. მაინც ეს მოძღვრება საყოველთაოდ აღიარებული იყო იმროინდელი ოფიციალური მეცნიერების შენის მახლობლად სომეხ არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო. უძველეს დასახლებათა და სამარხთა ნაშთებმა.

ხამარხში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება, იპოვნეს დაახლოებით 60 სანტიმეტრი სიგრძის ტყავგადაკეთებული, ნუნურებიანი ხის კუნძი — ხაინრე კაპარჭი. მის ფულროში ჩაწყობილი იყო ობსიდიანისა და კაჟის ბეწვიკებიანი ისრები. ჯერ კიდევ არც ერთ არქეოლოგს მსოფლიოში ასეთი უძველესი კაპარჭი არ უპოვნია.

ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტმა ხოზოვა ლჩაშენის გათხრების ხელმძღვანელს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს არუთინ ოსიანს ასეთ ამბავი მოუთხრა: ეს ამბავი ასეა: ...

სევანი მოგვითხრობს

სოფელი არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის უნიკალური ნივთები

საუკუნეთა მიღმა

ეთასობით მოგზაური და ტურისტი ტბებოდა ხევანის ტბის ხილამაზზეთ, ეშვებოდნენ მიწისქვეშა მიდროელექტროსადგურის სამანქანო განყოფილებაში — მძლავრი ენერგეტიკული კასკადის თავვრი ნაგებობის დასათვალიერებლად, და არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ხევანში აღმოჩნდებოდა ბევრი ისეთი რამ, რის შეხახებაც დღემდე არავინ არაფერი იცოდა.

ხევან-რაზდანის კასკადის მშენებლობის გამო ტბაში წყლის დონე დაიწია და ტბის კალთები გამოჩნდა. სოფელ ლჩაშენის მახლობლად სომეხ არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო. უძველეს დასახლებათა და სამარხთა ნაშთებმა.

ხამარხში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება, ...

სევანი მოგვითხრობს

სოფელი არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის უნიკალური ნივთები

საუკუნეთა მიღმა

ეთასობით მოგზაური და ტურისტი ტბებოდა ხევანის ტბის ხილამაზზეთ, ეშვებოდნენ მიწისქვეშა მიდროელექტროსადგურის სამანქანო განყოფილებაში — მძლავრი ენერგეტიკული კასკადის თავვრი ნაგებობის დასათვალიერებლად, და არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ხევანში აღმოჩნდებოდა ბევრი ისეთი რამ, რის შეხახებაც დღემდე არავინ არაფერი იცოდა.

ხევან-რაზდანის კასკადის მშენებლობის გამო ტბაში წყლის დონე დაიწია და ტბის კალთები გამოჩნდა. სოფელ ლჩაშენის მახლობლად სომეხ არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო. უძველეს დასახლებათა და სამარხთა ნაშთებმა.

ხამარხში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVIII საუკუნეებს ...





ზამთარ სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ მომენტს იმ საინტერესო ძიებიდან, რომელიც წარმოებს ლენინგრადში, სახოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიებში...

ეს ინსტიტუტი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დაარსდა საცდელი აგრონომიის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების ბაზაზე, რომელსაც გამოჩენილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი ს. ბ. კოსტიჩევი ხელმძღვანელობდა.

ინსტიტუტი გადაიქცა სახოფლო-სამეურნეო მეცნიერების თავისებურ შტაბად, სადაც მიმდინარეობს კვლევა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაში მიკროორგანიზმების როლის შესასწავლად. უზვი მოსავლის მისაღებად არ კმარა მარტოოდენ მინერალური ნივთიერებებით მცენარის დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა, საჭიროა მცენარე მოვამარაგოთ აგრეთვე ზრდის სტიმულატორებით, ვიტამინებით. მათ კი მიკროორგანიზმები გამოიმუშავებენ. და აი მეცნიერები შეუნელებლად ეძებენ ახალ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს მცენარეთა ზრდისა და განვითარების სტიმულიზაციისათვის.

ამაცრი ზამთარია მთიან აჯახეთში. ყველაზე მეტად იგი მწყემსებს უჭირებს საქმეს. მათ უნდა ეძებონ კარგი საძოვრები და იქ გადარეკონ ფარები, უზრუნველყონ ისინი წყლითა და საკვებით, შეინარჩუნონ სულადობა და ა. შ.

მწყემსებს ეხმარებიან მექანიზატორები, მეტეოროლოგები, რადისტები, ექიმები. უშორეს საძოვრებზე მიაქვთ წყალი. სინოპტიკოსები თვალყურს ადევნებენ ამინდს. რადისტები დროულად აფრთხილებენ მწყემსებს მოახლოებული საფრთხის შესახებ. ამასთან რადიოს საშუალებით არ წყდება კავშირი სოლქო ცენტრთან. შუა სურათზე აღბეჭდილია სწორედ ის ამბავი. როცა სანიტარული ავიაციის თვითმფრინავი მიფრენილა უმბეტის ტყეში. ჯამბულის ოლქში მთიანი აჯახეთის მეცხოველეებს ექვსი ასეთი თვითმფრინავი ემსახურება. ექიმები რეგულარულად ამოწმებენ მწყემსების ჯანმრთელობას, უწევენ მათ საჭირო სამედიცინო დახმარებას.

ქვემო სურათს კი ჩვენი ხამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გადავყავართ. არა, მასზე მოსკოვის რომელიმე გასაშენებელი კვარტალის მაკეტი როდია გამოსახული. „მოსობლპროექტის“ ინსტიტუტში შეიმუშავეს სახოფლო ხაზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრის გაშენების პროექტი. ამ მშენებლობაში გამოყენებულ იქნება ასაწყობი რკინაბეტონის კარკასი, რომელიც შეიფარა სხვადასხვა დგილობრივი მასალებით. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები ნ. ლევინსკი, ნ. ორლანდი და ინჟინერი ფ. დანილოვა.

* * *

ფოტოები ნ. ნაუმენკოვის, ი. ბუდნევიჩისა და ნ. გრანოვსკისა.

(საკვლევისა და ახალი ამბების სააგენტოს ფოტოქრონიკა).

... ...

... ...

... ...